ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ივლისის 30. № 15 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

167. „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

168. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ უფასოდ დაგზავნის გამო ამ კრებულის სავალდებულო გამოწერის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სამხედრო საქმე.

169. ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების შეღავათების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

170. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, როგორც დამოუკიდებელი უწყების, გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

171. იურიდიული პირების წესდებათა სავალდებულო გამოქვეყნების გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

მრეწველობა.

172. სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

173. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

174. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გარესამუშაოზე წასვლის კანონის განხორციელების შესახებ.

175. კულაკების აწერილი ოთხფეხი საქონლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

176. ზოგიერთ ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის წესის შესახებ.

177. „მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან ადმინისტრატიული წესით მათი გამოსახლების წესისა და პირობების თაობაზე“ გამოცემული 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტის მე-4, 5, 8, 9 და 11 მუხლების შეცვლისა და ამავე დეკრეტისათვის მე-11[1] მუხლის დამატების შესახებ.

178. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 23[1] მუხლის დამატებისა და იმავე დადგენილების 21[1] მუხლისა და 23 მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსები.

179. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახები დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დროისათვის.

180. საგადასახადო რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

181. საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 დანართისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

182. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტისათვის „ფ“ ლიტერის დამატების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

167. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 52; 1929 წ. 12 №-ი, მუხ. 257) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I.

მე-5, 9, 10, 11 და 15 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. კანონთა გამოქვეყნების საქმე დაეკისრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო-იურიდიულ ბიუროს“.

„9. იურიდიულ პირთა ის წესდებანი, რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ, გამოქვეყნდება „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ (მეორე ნაწილში).

იურიდიულ პირთა იმ წესდების გამოქვეყნება, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების მიერ, სავალდებულო არ არის.

იმ იურიდიულ პირთა წესდებანი, რომელთაც, არსებული წესისამებრ, საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება აქვთ, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საუწყებო გამოცემებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსაქვეყნებელი წესდების დამტკიცებისას, ხოლო რეგისტრაციამდე, იურიდიული პირის დამფუძნებლებმა უნდა წარუდგინონ სათანადო დაწესებულებას გამოქვეყნებისათვის ოფიციალურად დამოწმებული ასლი წესდებისა გამოქვეყნების სასყიდლითურთ.

მრეგისტრებელი ორგანო მოვალეა რეგისტრაციის დროს დარწმუნდეს, რომ შესრულებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნა და, ხუთი დღის ვადაზე რეგისტრაციის დღიდან, აცნობოს გამომქვეყნებელ ორგანოს, რომ რეგისტრაცია მოხდა. გამომქვეყნებელი ორგანო წესდებას გამოაქვეყნებს ამ ცნობების მიღების შემდეგ.

შენიშვნა. სასყიდელს წესდებათა გამოქვეყნებისათვის განსაზღვრავს: საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კრებულში გამოქვეყნებისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა; საუწყებო გამოცემაში გამოქვეყნებისათვის—სათანადო უწყების ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და ფინანსთა სახალხო კომისარიატის საუწყებო გამოცემაში გამოქვეყნებისათვის—ფინანსთა სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით".

„10. ის საუწყებო განკარგულება და ინსტრუქცია, რომლის გამოქვეყნებაც „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში" გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს კანონთა და განკარგულებათა კრებულის მეორე ნაწილში".

„11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო-იურიდიული ბიურო განიხილავს მისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემულ, მე-10 მუხლში აღნიშნულ, საუწყებო განკარგულებებისა და ინსტრუქციების შინაარს და, უკეთუ აღმოაჩინეს, რომ განკარგულება თუ ინსტრუქცია ეწინააღმდეგება მომქმედ კანონს, უარს იტყვის მის გამოქვეყნებაზე და უარის საფუძველს ზედმიწევნით აღნიშნავს.

საჩივარს გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ გადასწყვეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

განკარგულებისა თუ ინსტრუქციის მიზანშეწონილობის საკითხს სარედაქციო-იურიდიული ბიურო არ ეხება".

„15. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის" თვითეული ნომრის გამოშვებისთანავე, ამ ნომრის ეკზემპლიარები დაუყოვნებლივ ეგზავნებათ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათთან გათანასწორებულ ცენტრალურ დაწესებულებებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოებს, და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებსა და პროკურატურის ორგანოებს".

II.

მე-12, 13 და 14 მუხლები გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

---

168. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის" უფასოდ დაგზავნის გამო ამ კრებულის სავალდებულო გამოწერის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რადგანაც „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული" სახელმწიფო დაწესებულებათ უფასოთ ეგზავნებათ, ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილება „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ" (კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხ. 172) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივნისის 14.
ტფილისი.

სამხედრო საქმე

169. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების შეღავათების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ყოფილ წითელგვარდიელებსა, წითელ პარტიზანებს და მათ ოჯახებს მიენიჭოს, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის 13-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 64) გათვალისწინებული შეღავათების გარდა, აგრეთვე შემდეგი დამატებითი შეღავათები:

1. ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლებში, აგრეთვე უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოსათვის მიკუთვნებულ სახლებში დაქერილი საცხოვრებელი ფართობისათვის ყოფილი წითელგვარდიელები, წითელი პარტიზანები და მათი ოჯახები ქირას იხდიან ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მომქმედ საბინაო ტარიფზე 10-დან 50%-დე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

2. სასყიდელს კომუნალური მომსახურეობისათვის (წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ელექტროენერგია, განათებისა და საოჯახო საჭიროებისათვის, საქალაქო სამრეცხველოებისა და საზოგადოებრივი აბანოებისა და სხვ. გამოყენება, ქალაქად სარკინისგზო და საავტობუსო მიმოსვლა) ყოფილი წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები იხდიან შეღავათიანი ტარიფით, რაც დადგენილია ადგილობრივი საბჭოების მიერ.

შენიშვნა. ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან მთლად გაანთავისუფლოს ყოფილი წითელგვარდიელი და წითელი პარტიზანი კომუნალური მომსახურეობის ან ამ მომსახურეობის ზოგიერთი სახის სასყიდლისაგან.

3. ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელ პარტიზანებს უფლება აქვთ უფასოდ შევიდნენ ყველა სახელმწიფო (ცენტრალურსა და ადგილობრივს) მუზეუმში, გამოფენაზე, ბაღში და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებაში. სახელმწიფო თეატრსა და კინემატოგრაფში ყოფილ წითელგვარდიელებს და წითელ პარტიზანებს დაეკლებათ ბილეთის ფასის 50%.

II.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილების მე-9—12 მუხლების შესაბამისად:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს—მუნიციპალიზებულ შენობაში როგორც ახლად აგებული, ისე განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის დასახლების დროს, აძლიონ ხოლმე წითელგვარდიელებსა, წითელპარტიზანებსა და მათ ოჯახებს, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ, აუცილებელი საცხოვრებელი ფართობი მუშებთან თანაბარ საფუძველზე და საცხოვრებელი ფართობის მსაჭიროებელი მუშების საერთო რიცხვთან სათანადო პროცენტული შეფარდებით.

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ყოფილი წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები და მათი ოჯახის წევრები სამკურნალო, სასანიტარო და საკურორტო დახმარებით დაზღვეულ მუშათა თანაბრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—იხმარონ ღონისძიება, რათა წითელი გვარდიისა და პარტიზანული რაზმების ინვალიდები, აგრეთვე სამოქალაქო ომში დაღუპული წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების ოჯახის შრომისუუნარო წევრები ჩარიცხულ იქნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველ რიგში.

4. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

III.

ამა დადგენილებაში აღნიშნული შეღავათები შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ სათანადო მოწმობები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. დეკემბრის 16-ს დამტკიცებული წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1 №-ი, მუხ. 3).

IV.

ამა დადგენილების 1-ლი კარის 1-ლი მუხლის შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202) დაემატოს 23² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„23². ყოფილი წითელგვარდიელები, წითელი პარტიზანები და მათი ოჯახები, რომელთაც მიღებული აქვთ სათანადო მოწმობები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. დეკემბრის 16-ს დამტკიცებული წესებისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 3) ,ქირას მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ფართობისათვის იხდიან 10-დან 50%-დე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 173 №-ში 1931 წ. ივლისის 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

170. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, როგორც დამოუკიდებელი უწყების, გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, როგორც დამოუკიდებელი უწყების, გაუქმების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების (პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 4, § 16) შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 8-ის თარიღისა და 71 №-ის დადგენილება საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამართველოსათვის ყველა იმ უფლების მინიჭების შესახებ, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ (კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 124).

2) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 31-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 152; 1929 წ. მე-15 №-ი, მუხ. 154).

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 24-ის დადგენილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მისი ორგანოების სპეციალური სახსარის შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-8 №-ი, მუხ. 120).

4) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების შესახებ (კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 61).

5) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მარტის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს შესახებ (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 27).

6) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 30-ის დადგენილება სასოფლო მეურნეობის რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ (კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 49).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. თებერვალის 29-ს დამტკიცებული დებულება შრომის სტატისტიკის შესახებ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 9).

8) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენისა და შეტყობინების წესის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი მუხ. 104).

II. ფუნქციები საქართველოს სსრ გაუქმებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი და მისი ორგანოებისა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო საგეგმო ორგანოებს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

---

171. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იურიდიული პირების წესდებათა სავალდებულო გამოქვეყნების გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

იურიდიული პირების წესდებათა სავალდებულო გამოქვეყნების გაუქმების შესაბამისად (მე-9 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ 1931 წ. ივლისის 13 რედაქციით) — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს:

1) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 341 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37);

2) მე-3 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აპრილის 25-ის თარიღისა და 51 №-ის დადგენილებისა „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 95);

3) 22 მუხლი „დებულებისა იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ (კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 339).

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

172. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სარეწაო კოოპერაციის დებულების 91 მუხლის „კ„ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[91. სარეწაო კოოპერატიულ კავშირს უფლება ეძლევა:...]

„კ) აიღოს სესხი, სხვათა შორის, იმ კაპიტალური მშენებლობის საჭირო ებისათვის, რასაც აწარმოებენ როგორც თვით კავშირები, ისე მათში შემავალი სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციები“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

173. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის მაისის 23-ის დადგენილებით (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1931 წ. 32 №-ი, მუხ. 244) დამტკიცებული წყლის გამოსაღების დებულების შესაბამისად და ამავე დებულების 5, 8, 10, 15, 20, 32 და 35 მუხლებისა და ა/კსფსრ-ში 1931 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ივნისის 24-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. № 182) საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ, შემდეგი წესი 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ზოგადი დებულებანი.

1. წყლის გამოსაღები შემოიღება საქართველოს სსრ წყლის ქსელის ექსპლოატაციისა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში მყოფ წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

2. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხებიდან გაწეულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ა) წყალ-სამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტი და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირება;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვა და რემონტი;

გ) არსებულ წყლის სისტემათა სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვა და რემონტი;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრია და მიმდინარე სტატისტიკა;

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხეების დაცვა;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოები;

ზ) ქვედა წყალ-სამეურნეო, მათ შორის სარაიონო, დაწესებულებათა საექსპლოატაციო შტატის შენახვა, და აგრეთვე მერაბებისა, ჯუვარებისა, ყარაულებისა, მოარული წყლის დარაჯებისა და სხვ. სრული შენახვა.

შენიშვნა. მთლად საირიგაციო სისტემაზე საწარმოები ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყლის გამოსაღებით არ დაიფარება.

3. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

4. წყლის გამოსაღები გადახდება როგორც სოფლად, ისე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც გამოიყენებს წყალ-სამეურნეო სისტემას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისა ან მელიორაციისათვის, აგრეთვე ვინც მოახმარს წყალს ან გამოიყენებს წყლის ენერგიას სამრეწველო ან სატეხნიკო მიზნით.

შენიშვნა. წყლის გამოსაღები არ უნდა გადახდეს იმ წყალმომქმედ საწარმოს, რომელიც წყალს ხმარობს, როგორც ამამოძრავებელ ძალას ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით, პირდაპირ ბუნებრივი წყალსაცავიდან (მდინარე, ტბა და სხვ.) და აგრეთვე ტარიფით დადგენილი სასყიდლით— კომუნალური წყალსადენიდან.

5. წყლის მოსარგებლენი, გარდა წყლის გამოსაღების გადახდისა, გაწეულ იქნებიან ნატურალურ წყალ-სამეურნეო ბეგარაზე იმ წესით და იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილებით (კან. კრ. 1931 წ. 10 №-ი, მუხ. 116).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წყლის გამოსაღები სოფლად და იმ ქალაქებში, სადაც „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 18-ის დადგენილების (კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 72) 31 მუხლის თანახმად შემოღებულია ამ გადასახადით დაბეგვრა, გამოიანგარიშება შემოსავლის მიხედვით, რასაც მეურნეობა მიიღებს ფულად და ნატურად შემდეგი წყაროებიდან:

ა) სარწყავი მიწიდან, რაზედაც გაშენებულია როგორც სამინდვრე, ისე სპეციალური კულტურები (ბაღი, ვენახი, ბოსტანი, პლანტაციები და სხვ.);

ბ) საწარმოდან, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს, ან რომელიც იყენებს წყალს ტეხნიკური თუ სამრეწველო მიზნით.

წყლის გამოსაღები ქალაქად და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან და წყალს იყენებენ როგორც ამამოძრავებელ ძალას ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით, გამოიანგარიშება ამა დადგენილების მე-III კარში აღნიშნულ წესისამებრ.

II. საბჭოთა მეურნეობის დაბეგვრა.

7. საბჭოთა მეურნეობა წყლის გამოსაღებს გადაიხდის მტკიცე განაკვეთით—5 კაპიკს იმ შემოსავლის თვითეულ მანეთზე, რასაც მეურნეობა მიიღებს სარწყავი მემცენარეობიდან და წყლის ენერგიის გამოყენებით მომუშავე ამ წყლის ტეხნიკური მიზნით მოსარგებლე საწარმოდან.

საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი სარწყავი მემცენარეობიდან განისაზღვრება შემოსავლიანობის იმ საშუალო ნორმების მიხედვით, რაც საქართველოს სსრ-ის ინდივიდუალური მეურნეობებისათვის დაწესებულია „ა/კსფსრ-ში 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 16-ის დადგენილების 1-ლი მუხლით (ა/კსფსრ-ის კან. კრ. 1931 წ. 8 №-ი, მუხ. 103), ხოლო შემოსავალი დანარჩენი ზემოაღნიშნული წყაროებიდან—ანგარიშების მიხედვით.

8. საბჭოთა მეურნეობა არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-ისა გამოიანგარიშებს თავის ხვედრ წყლის გამოსაღებს და გადაიხდის მას ორ ვადაზე: 50%-ს—1931 წ. ნოემბრის 1-სათვის და 50%-ს—1931 წ. დეკემბრის 15-სათვის.

შენიშვნა. წყლის გამოსაღები იმ საწარმოსათვის, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს ან წყალს ტეხნიკური მიზნით სარგებლობს, გამოიანგარიშება ორიენტირულად ამ საწარმოს 1931 წლის პირველი ნახევრის შემოსავლის ცნობების მიხედვით. აღნიშნული საწარმოსათვის წყლის გამოსაღების საბოლოო გამოანგარიშება მოხდება წლიური ანგარიშის ცნობების საფუძველზე არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 1-ისა ამა დადგენილების 15 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. დაბეგვრა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან.

9. წყლის გამოსაღები ქალაქებისათვის და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე—0,2 კაპ.;

ბ) ადგილობრივი ტიპის წყალ-მომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, სანაყავი და სხვ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვალცენზე ან წყვილ მორგვზე,—იმის მიხედვით წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში,—5 და 15 მან.;

გ) საინჟენერო ტიპის წყალმომქმედი საწარმოსათვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს იყენებს, როგორც ამამოძრავებელ ძალას, თვითეულ ძალაზე,—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში,—10 და 20 მან.;

დ) იმ საწარმოსათვის, რომელიც წყალს სამრეწველო და ტეხნიკური მიზნით იყენებს (რკინის გზის გარდა), თვითეულ კილოლიტრზე—1,65 კაპ.

10. წყლის გამოსაღები რკინის გზისათვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარწყავი ქსელიდან მიღებით, თვითდენით განუწყვეტლივ მიღებული წყლისათვის ერთ სეკუნდო-ლიტრზე—800 მან.;

ბ) წყლის საქანით მიღებული წყლისათვის ერთ კუბომეტრზე—3 კაპ.;

რკინის გზა წყლის გამოსაღებს გამოიანგარიშებს არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-ისა ორიენტირულად, იმისდამიხედვით, თუ რამდენი წყალი დაიხარჯა 1931 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში, და გადაიხდის მას ორ ვადაზე: 50%-ს—1931 წ. ნოემბრის 1-სათვის და 50%-ს—1931 წ. დეკემბრის 15-სათვის.

შენიშვნა. წყლის გამოსაღების საბოლოო გამოანგარიშება წლიური ანგარიშის ცნობების მიხედვით მოხდება იმ ვადაზე და იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-15 მუხლში.

IV. კოლექტიურ მეურნეობათა დაბეგვრა.

11. კოლექტიური მეურნეობანი (კომუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა) წყლის გამოსაღებს გადაიხდიან იმ საერთო შემოსავლის მიხედვით, რასაც ისინი იღებენ სარწყავი მიწიდან და წყლის ენერგიის გამოყენებით მომუშავე საწარმოდან.

ამ მიწისა და საწარმოს საერთო შემოსავალი აღებულ უნდა იქნეს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც იგი გამოანგარიშებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

12. კოლექტიური მეურნეობანი წყლის გამოსაღებით დაიბეგრებიან მტკიცე განაკვეთებით შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სასოფლო-სამეურნეო კომმუნა და არტელი გადაიხდიან 3 კაპ. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი საერთო შემოსავლის თვითეულ მანეთზე (მე-6 მუხ.);

ბ) მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა გადაიხდის 4 კაპ. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი საერთო შემოსავლის თვითეულ მანეთზე (მე-6 მუხ.).

13. კოლექტიურ მეურნეობებს წყლის გამოსაღებით დაბეგვრის სფეროში მიენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ყველა კოლმეურნეობა, რომელიც 1931 წ. მცირეძალოვნობის გამო განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) სარწყავი მიწის დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშების დროს საერთო შემოსავალი სარწყავი მიწისა, რაც კოლექტიურ მეურნეობას გადაცემული აქვს იმ წევრის მიერ, რომელიც 1930 წელს განთავისუფლებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, როგორც მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა, შემცირდება 75%-ით;

გ) სარწყავ მიწაზე ნათესი ფართობის ნამატი, რაც 1931 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია, წყლის გამოსაღებისაგანაც განთავისუფლდება;

დ) ბამბით და სხვა სპეციალური და ტეხნიკური კულტურებით დაჭერილი სარწყავი მიწების წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს ყველა შეღავათი, რაც დაწესებულია ამ მიწების 1931 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

14. არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა გამოიანგარიშებს თავისი ხვედრი წყლის გამოსაღების თანხას იმავე წესით, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებისათვის.

წყლის გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისათვის დადგენილ ვადებზე.

15. არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა თავისი წლიური ანგარიშის საფუძველზე, წარუდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (საფინანსო განყოფილების სახით), სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო მასალასთან ერთად, ცნობებს წყლის გამოსაღების თანხის საბოლოოდ გამოანგარიშებისათვის.

უკეთუ საბოლოოდ გამოანგარიშებული განაკვეთი წყლის გამოსაღებისა იმ თანხაზე მეტი აღმოჩნდა, რაც კოლმეურნეობამ შეიტანა, განსხვავება გადახდილ უნდა იქნეს 1932 წლის თებერვლის 10-სათვის.

უკეთუ კოლმეურნეობამ შეიტანა მეტი თანხა, ვიდრე მასზე საბოლოო გამოანგარიშებით მოდის, ზედმეტად გადახდილი თანხა მას დაებრუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. წყლის მოსარგებლეთა კოლექტიური შენაერთების დაბეგვრა.

16. კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, არტელი და მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა) და სამელიორაციო ამხანაგობათა დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 56) საფუძველზე მომქმედი სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობა, რომელთაც იკისრეს ამა თუ იმ წყლის სისტემის შენახვა მთლად ან ნაწილობრივ და ეწევიან ამ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯს, წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდებიან.

17. სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობის წევრი (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი) და აგრეთვე სხვა მეურნეობა და საწარმოო, რომელიც წყალს იყენებს (სარწყავად, ამამოძრავებელ ძალად ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით) წყალმოსარგებლეთა კოლექტიური შენაერთისათვის გადაცემული წყლის სისტემიდან და რომელიც მონაწილეობას იღებს ამ სისტემის შენახვისათვის საჭირო ხარჯში, წყლის გამოსაღებს გადაიხდის საერთო საფუძველზე, ხოლო იმ განაკვეთის 25%-ის რაოდენობით, რაც ამა დადგენილებით დაწესებულია სათანადო კატეგორიების წყალმოსარგებლეთათვის.

VI. კოლმეურნეობების წევრთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილის დაბეგვრა.

18. უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრს აქვს განუსაზოგადოებელი შემოსავალი ამა დადგენილების მე-6[1] მუხლში აღნიშნული წყაროდან, იგი წყლის გამოსაღებით დაიბეგრება ინდივიდუალური შრომითი მეურნეობის თანაბრად.

19. კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელიც 1931 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია სრულიად ან ნაწილობრივ, სათანადოდ განთავისუფლდება წყლის გამოსაღებისაგანაც.

VII. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

20. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა სარწყავი მიწისა სოფლად ყველა ინდივიდუალური შრომითი მეურნეობისათვის განისაზღვრება შემოსავლიანობის იმ ნორმების მიხედვით, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის. ამისათვის შეჯამებულ უნდა იქნეს ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული შემოსავალი თვითეული მეურნეობის ყველა კულტურისა, რაც კი სარწყავ მიწებზეა.

21. იმ საწარმოს, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს ან რომელიც წყალს სამრეწველო თუ ტეხნიკური მიზნით სარგებლობს, წყლის გამოსაღები გადახდება იმ შემოსავლის მიხედვით, რაც 1931 წ. გამოანგარიშებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

22. წყლის გამოსაღების რაოდენობა თვითეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის სოფლად განისაზღვრება სარწყავი მიწისა და წყლის მოსარგებლე საწარმოს დასაბეგრი შემოსავლის თანხის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნეს ამა დადგენილების 20 და 21 მუხლების თანახმად შემდეგი განაკვეთებისამებრ:

| როდესაც საერთო თანხა მეურნეობის შემოსავლისა, რაც სას.-სამ. გადასახადით იბეგრება, არის: | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა.

26. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა (კულაკური) წყლის გამოსაღებს გადაიხდის სარწყავი მიწისა და წყლის ენერგიის გამოყენებით მომუშავე ან წყლის სამრეწველო თუ ტეხნიკური მიზნით მოსარგებლე საწარმოს შემოსავლის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

27. ის მეურნეობანი, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს გადაიხდიან შემდეგი რაოდენობით:

| როდესაც სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი არის: | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, წყლის გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად.

31. წყლის გამოსაღების გადამხდელთა განცხადებანი და საჩივრები შეიტანება და განიხილება:

ა) ამა დადგენილების 30 მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში—იმ წესით, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის;

ბ) იმავე მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში—იმ წესით, რაც დადგენილია რენტის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის.

X. გადამხდელთა პასუხისმგებლობა.

32. იმ გადამხდელთ, რომელნიც წყლის გამოსაღებს დადგენილ ვადაზე არ გადაიხდიან, შეეფარდებათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

XI. წყლის გამოსაღების თანხების განაწილება.

33. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხა მთლად ჩაირიცხება რესპუბლიკანურ სპეციალურ წყლის ფონდში და განაწილდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარაიონო ბიუჯეტებს შორის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, თვითეული რაიონის საჭიროების პროპორციულად.

ეს სახსარი მოხმარდება მხოლოდ ამა დაგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებას.

XII. ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

34. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

II.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 25-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 303) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივლისის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 168, 169, 170 №-ში 1931 წ. ივლისის 23, 24, 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

174. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გარე-სამუშაოზე წასვლის კანონის განხორციელების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ცენტრს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს: ა) მიიღონ სათანადო ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეობათა გამგეობები, კოლმეურნეები და ინდივიდუალური გლეხები დაუყოვნებლივ და ფართოდ გაეცნონ „გარე-სამუშაოზე წასვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 30-ის დადგენილების შინაარსს (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია“ 1931 წ. № 179); ბ) სოფლის აქტივის მონაწილეობით ჩაატარონ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ გლეხთა შორის ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია სახელმწიფო მრეწველობაში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში და აგრეთვე სახელმწიფო მშენებლობაში და სამომხმარებლო და საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაში სამუშაოდ წასვლის შესახებ.

დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს სამი დღის ვადაზე გამოსცეს და გაუგზავნოს ადგილებს მრავალტირაჟიანი ფურცელი გარე-სამუშაოზე წასვლის ზემოაღნიშნული კანონის ტექსტით, რისთვისაც ეს კანონი უნდა გადაითარგმნოს ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და კოლმეურნეობათა ცენტრს კოლექტიურ მეურნეობათა შორის სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების დროს ეს მანქანები, თანაც უკეთესი ხარისხის, პირველ რიგში, სხვა თანაბარ პირობებში მიაწოდონ იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელნიც სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით გამოჰყოფენ კოლმეურნეთა თვალსაჩინო რიცხვს გარე-სამუშაოზე წასასვლელად.

3. დაწესებულ იქნეს მე-2 მუხლში აღნიშნულ კოლექტიურ მეურნეობათა უპირატესი უფლება—მიიღონ კულტურულ-განმანათლებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოსაწყობად გაცემული სახსარი (სკოლები, საბავშო სახლები, საბავშო ბაღები და მოედნები, ბაგები, ქოხ-სამკითხველოები, საზოგადოებრივი სასადილოები, სამრეცხველოები და სხვ.) და, კერძოდ, მიიღონ სახსარი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გამართულობისათვის ხელისშემწყობი ფონდიდან (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 6 №-ი, მუხ. 72 და 83 და საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 335).

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 18-ის დადგენილების (კან. კრ. 1931 წ. 7 №-ი, მუხ. 72) 26 მუხლს დაემატოს პუნქტი „დ" შემდეგი შინაარსისა:

„დ) სრულიად განთავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილი, მათ შორის არასამიწათმოქმედო საშოვარიც, რომელიც დაკონტრაქტებულია სახელმწიფო მრეწველობაში (მათ შორის ხე-ტყის დამზადებაზე, ჩამოტივტივებაზე, თევზის ჭერაზე—თევზის სვლის დროს და სხვ.), ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო მშენებლობაში და აგრეთვე სამომხმარებლო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაში სამუშაოდ; კოლმეურნეს ჩამოერთმევა ეს შეღავათი, უკეთუ იგი სამუშაოდან იმ ვადაზე ადრე წავა, რა ვადითაც იგი დაკონტრაქტებულია".

2. იმავე დადგენილებას დაემატოს 64[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„კოლმეურნეთა შეღავათები. 64[1]. უკეთუ გარეთ წასული ინდივიდუალური გლეხი დაკონტრაქტებულია სახელმწიფო მრეწველობაში (მათ შორის ხე-ტყის დამზადებაზე, ჩამოტივტივებაზე, თევზის ჭერაზე—თევზის სვლის დროს და სხვ.), ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო მშენებლობაში და აგრეთვე სამომხმარებლო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაში სამუშაოდ, მისი მეურნეობის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს აღნიშნულ სამუშაოზე მიღებული საშოვარი აღინუსხება ნახევარი რაოდენობით 47 მუხლში აღნიშნულ ნორმებთან შედარებით. სამუშაოდ წასულს ჩამოერთმევა ეს შეღავათი, უკეთუ იგი დაარღვევს სამეურნეო ორგანოსთან დადებულ ხელშეკრულებას".

III.

დაევალოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან და აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 30-ის დადგენილებიდან („გარეს-ამუშაოზე წასვლის შესახებ") გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივლისის 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 165 №-ში 1931 წ. ივლისის 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კულაკების აწერილი ოთხფეხი საქონლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღმასრულებლებს ვალის გადაუხდელობის გამო კულაკურ მეურნეობებში აწერილი ყოველგვარი ცოცხალი საქონლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვისათვის დანიშვნა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ოთხფეხი საქონელი უნდა გადაეცეს „სოიუზმიასო"-ს ორგანოებს იმ ფასად, რასაც ამა თუ იმ სახის საქონლისათვის დააწესებს მომარაგების სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

3. აწერილი ოთხფეხი საქონლის ფასის გამო ადგილებზე აღძრულ დავას გადასწყვეტს საბოლოოდ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

4. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე, ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

5. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკებზე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

176. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ზოგიერთ ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და 1932 წ. იანვრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ზოგიერთ ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის წესის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ზოგიერთ ქალაქ-ადგილას ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლის წესის შესახებ.

1. ქალაქ-ადგილებში ქვაფენილებისა და ტროტუარების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზოგიერთ ქალაქ-ადგილას, რომელთა სიასაც ყოველწლიურად, არა უგვიანეს ივლისის 1-ისა, დაადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, მყარდება შემდეგი წესი ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლისათვის.

2. ახალი ქვაფენილების მოწყობას და უკვე არსებული ქვაფენილების კაპიტალურად გადაკეთებას, როდესაც ეს ქვაფენილები აკრავს არასაცხოვრებელ (საცხოვრებლად გამოუყენებელ) შენობებს, და ამ შენობების გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოები აწარმოებენ სათანადო დაწესებულებისა, საწარმოს და პირის ხარჯით (სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და კერძო იურიდიული და ფიზიკური პირის ხარჯით), რომელთაც ეს შენობები და მიწის ნაკვეთები ეკუთვნით.

3. ახალი ქვაფენილების მოწყობას და უკვე არსებული ქვაფენილების კაპიტალურად გადაკეთებას, როდესაც ეს ქვაფენილები აკრავს საცხოვრებელ შენობებს და ამ შენობების გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოები აწარმოებენ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საცხოვრებელი შენობები ეკუთვნის არამშრომელ ელემენტებს საკუთრების ან აღნაგობის უფლების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ სამუშაოებს კომუნალური მეურნეობის ორგანოები აწარმოებენ სათანადო შენობების მესაკუთრეთა ან მეაღნაგეთა ხარჯით.

4. ახალი ტროტუარების მოწყობა და უკვე არსებული ტროტუარების კაპიტალურად გადაკეთება შეადგენს ყველა იმ დაწესებულებისა, საწარმოს, ორგანიზაციის და პირის მოვალეობას (გამოუკლებლად), ვინც ჰფლობს იმ შენობებსა და მიწის ნაკვეთებს. რომლებსაც აკრავს ეს ტროტუარები; ტროტუარების მოწყობას და გადაკეთებას აწარმოებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოები აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა ხარჯით ან თვით ეს დაწესებულებანი, საწარმონი, ორგანიზაციები და პირნი კომუნალური მეურნეობის ორგანოებთან შეთანხმებით.

5. ქვაფენილების და ტროტუარების მოვლა და მიმდინარე რემონტი შეადგენს ყველა იმ დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და პირის მოვალეობას, ვის შენობასაც და ნაკვეთსაც აკრავს ქვაფენილი და ტროტუარი. მოვლას და რემონტს აწარმოებს ან დაწესებულება, ორგანიზაცია და პირი თავისი ძალით და სახსარით, ან კომუნალური მეურნეობის ორგანო ამ დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და პირის ხარჯით მათთან დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ახალი ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობა და არსებული ქვაფენილებისა და ტროტუარების კაპიტალური გადაკეთება, აგრეთვე მოვლა და მიმდინარე რემონტი, როდესაც ეს ქვაფენილები და ტროტუარები იჯარით გაცემულ მუნიციპალიზებულ შენობებსა და მათ გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს აკრავს, შეიძლება ხელშეკრულობით დაეკისროს მოიჯარეს.

7. მიწისზევითი ან მიწისქვეშეთი ნაგებობების მოწყობასა და რემონტთან დაკავშირებით გათხრილი ქვაფენილების და ტროტუარების აღსადგენად საჭირო სამუშაოები და აგრეთვე პასუხისმგებლობა მათი შეკეთებისათვის დაეკისრება კომუნალური მეურნეობის ორგანოებს და ამ სამუშაოებს ისინი აწარმოებენ იმ დაწესებულებისა, საწარმოს, ორგანიზაციის და პირის ხარჯით, ვინც ქუჩები და ტროტუარები გათხარა.

8. ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობა, გადაკეთება, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი და მოვლა ქალაქ-ადგილას სწარმოებს იმ წესებისა, ნორმებისა და ტიპების თანახმად, რასაც დაადგენენ სათანადო საქალაქო საბჭოები ზემდგომი ორგანოების დირექტივების მიხედვით.

9. ქვაფენილებისა და ტროტუარების მოწყობისა, გადაკეთებისა, რემონტისა და მოვლისათვის საჭირო ყოველწლიური შენატანის რაოდენობა განისაზღვრება კომუნალური მეურნეობის ორგანოების მიერ დადგენილი შეფასების თანახმად იმ ქვაფენილებისა და ტროტუარების ფართობის მიხედვით, რაც აკრავს სათანადო შენობებსა და ნაკვეთებს, თანაც ამა თუ იმ წლისთვის განზრახულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად. შეტანის ვადას დაადგენენ სათანადო საქალაქო საბჭოები.

10. ცალკე ქვაფენილისა და ცალკე ტროტუარის თითო კვადრატული მეტრის მოწყობისა, გადაკეთებისა და რემონტის საშუალო წლიური თვითღირებულება განისაზღვრება სათანადო საქალაქო საბჭოების დადგენილებებით. ეს დადგენილებები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის ხუთი თვით ადრე ყოველი ახალი საოპერაციო წლის დაწყებამდე.

11. წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს ინსტრუქციით, რასაც იგი გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

---

177. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან ადმინისტრატიული წესით მათი გამოსახლების წესისა და პირობების თაობაზე“ გამოცემული 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტის მე-4, 5, 8, 9 და 11 მუხლების შეცვლისა და ამავე დეკრეტისათვის მე-11[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის დეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტში „მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭერილი სადგომებიდან“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53; 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 40; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 82) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის პუნქტი „ე“ გაუქმებულ იქნეს.

2. მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[5. საცხოვრებლად ვარგისი თავისუფალი სივრცისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემა სავალდებულოა მე-4 მუხლში აღნიშნული სახლებისა და სადგომებიდან მხოლოდ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთა გამოსახლების დროს...]

„ა) მუშებისა, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისა;“

3. მე-5 მუხლის შენიშვნა ამოშლილ იქნეს.

4. მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა (ვადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა შედგენილობის გარდა), ვადაზევითი სამსახურის მერიგეთა შედგენილობის სამხედრო მსახურთა, სამხედრო-საწარმოო სამსახურში მყოფ სამხედრო მსახურთა, აგრეთვე ამ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა და ვადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა ოჯახების ადმინისტრატიული წესით გამოსახლება უნდა მოხდეს „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა შეღავათების კოდექსის“ 96 მუხლის მიხედვით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 253) და, ამასთანავე, მხოლოდ აპრილის 1-დან ვიდრე ნოემბრის 1-მდე მიმდინარე პერიოდში“.

5. მე-9 მუხლში სიტყვები „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ“ შეიცვალოს სიტყვებად: „საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ“.

6. მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. ტრანსპორტის ორგანოების სადგომებიდან ტრანსპორტისათვის გარეშე პირთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლება უნდა მოხდეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ის დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 110)“.

7. დაემატოს დეკრეტს მე-11[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„11[1]. სამხედრო უწყებისათვის მიკუთვნებული სახლებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლება უნდა მოხდეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 15-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-ი, მუხ. 110) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-ი, მუხ. 255; 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 92) განსაზღვრული წესისამებრ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 ივლისის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

178. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 23¹ მუხლის დამატებისა და იმავე დადგენილების 21¹ მუხლისა და 23 მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმების შესახებ.

ორდენებით დაჯილდოვებულ პირთა მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 13-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" 1931 წ. № 109) შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას (კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202) დაემატოს 23¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„23¹. სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის ან ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის ერთი ან რამდენიმე ორდენით დაჯილდოებული პირი დაჭერილი საცხოვრებელი ფართობის ქირას გადაიხდის შეღავათით 10%-დან 50%-მდე. შეღავათის რაოდენობას დააწესებს ადგილობრივი საბჭო დაჯილდოებული პირის შემოსავლის მიხედვით.

ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ქირას დაჯილდოებული პირი გადაიხდის ორდინარული რაოდენობით.

უკეთუ დაჯილდოებული პირი გარდაიცვალა, ამა მუხლით დადგენილი შეღავათი გავრცელდება ამ პირის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე და იმ შრომის უნარმოკლებულ პირზე, რომელიც მის რჩენაზე იყო".

2. აღნიშნული დადგენილების 21¹ მუხლი და 23 მუხლის მე-3 ნაწილი (კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 210) ამოიშალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 180 №-ში 1931 წ. აგვისტოს 7.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

179. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახები დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დროისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილება „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" (საქ. სსრ კან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1930 წლის ოქტომბრის 1-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 192 №-ში 1931 წ. აგვისტოს 21.

---

180. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საგადასახადო რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

„საგადასახადო რეფორმის შესახებ„ (სსრკ კან. კრ. 1930 ე. 46 №-ი, მუხ. 476) და „შენობის გადასახადის და მიწის რენტის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 58 №-ი, მუხ. 612) გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 2-ისა და 1930 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილებებისა და „საგადასახადო რეფორმასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 2-ის დადგენილებებისა (ა/კ.ს.ფ.სრ. კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-რი, მუხ. 29), აგრეთვე „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. გაუქმებულ იქნეს ქვემოდევნო აქტები:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 8-ის თარიღისა და 92 №-ის დადგენილება „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის სასყიდლის დაწესების შესახებ" (კან. კრ. 1923 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 36).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 10-ის თარიღისა და 109 №-ის დადგენილება „თამბაქოს ვაჭრობის წესების დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიების შესახებ" (კან. კრ. 1924 წ. 3/4 № ი, მუხ. 13).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 25-ის დადგენილება „იმ ადგილების კატეგორიების დაწესების შესახებ, სადაც რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე შეიძლება გადახდევინებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადი (კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 122).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 10-ის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილისა და 65 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 109; 1928 წ. მე-15 №-ი, მუხ. 141).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 30-ის თარიღისა და 70 №-ის დადგენილება „შრომის და ომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ გლეხთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 108).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 21-ის დადგენილება „საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად ქალაქების კლასებად დაყოფის შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-ი, მუხ. 50).

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 4-ის თარიღისა და 28 №-ის დადგენილება „ავტომობილების მოძრაობის თაობაზე არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციის თანახმად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ უცხო მოქალაქეთა ავტომობილებისა, მოტოციკლეტებისა და თვითმოძრავი ეკიპაჟების ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 58).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 18-ის თარიღისა და 55 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსაღების დაწესების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 105).

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 8-ის დადგენილება „რესპუბლიკანურსა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდის სფეროში ზოგიერთი ორგანიზაციისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 33); 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 233, კარი II).

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 11-ის დადგენილება „შენობის გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 64).

11. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 3-ის დადგენილება „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების შესახებ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 31; მე-20 №-ი, მუხ. 227; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 80 და მე-15 №-ი, მუხ. 233).

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 2-ის დადგენილება „მეცხოველეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 92).

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. წესები მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და ხარჯვის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 93).

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 23-ის დადგენილება „სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა და გარიგებათა სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 97).

15. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 26-ის დადგენილება „სასოფლო საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ დააწესონ და გადაახდევინონ ადგილობრივი გამოსაღები იმ პირთ, ვისაც სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლება ჩამორთმეული აქვს“ (კან. კრ. 1930 წ. მე-10 № ი, მუხ. 127).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილება „გასართობისა და სანახაობას ადგილობრივი გადასახადის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 233).

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 6-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა განთავისუფლების შესახებ მათი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისათვის გადასახდევინებელი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“ (კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 276).

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 24-ის დადგენილება „სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო სამმართველოების ნავეურჭლების განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 8)

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 24-ის დადგენილება „ადგილობრივი დაბეგვრის სფეროში სამხედრო მსახურთა შეღავათების შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 9).

II. ქვემოდ ჩამოთვლილ აქტებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ნოემბრის 2-ის თარიღისა და 113 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ სათამასუქო დებულებაში (კან. კრ. 1924 წ. მე-6 №-ი, მუხ. 28):

მე-15 მუხლის მე-2 აბზაცი (კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 116) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ სათანადო ორგანოში საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქი განაღდებულ იქნა პროტესტამდე, თამასუქის პატრონს უფლება აქვს მოითხოვოს, სათამასუქო თანხისა და პროცენტების გარდა, აგრეთვე თამასუქის საპროტესტოდ წარდგენასთან დაკავშირებული დანახარჯი“.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 20-ის თარიღისა და მე-4 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებაში „გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა შესახებ“ (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4):

მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება, რომლის მოქმედებაც მიმართულია ამა დებულებით დაწესებული მიზნების განხორციელებისათვის, გარდა სსრკ-ის და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით მინიჭებული საგადასახადო შეღავათებისა, განთავისუფლდება აგრეთვე ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 30-ის თარიღისა და 43 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების შესახებ“ (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 66; 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 71):

ა) მე-10 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[10. საზოგადოების სახსარს შეადგენს...]

„ა) სანახაობისა და გასართობის ადგილობრივი გადასახადის ანარიცხები და საუცხოეთო პასპორტისა და უცხო ქვეყნის პასპორტისათვის, აგრეთვე საზღვარზე გადასვლისათვის გადასახდევინებელი ერთიანი სახელმწიფო ბაჟის ზედნართები“.

ბ) იმავე მე-10 მუხლს დაემატოს პუნქტი „თ“ შემდეგი შინაარსისა:

„თ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის დოტაციები“.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 20-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-ი, მუხ. 66):

ა) 34 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„34. იმ საგადასახადო შეღავათების გარდა, რაც ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის არის დადგენილი სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით, აღნიშნული შენაერთები და მათი კავშირები განთავისუფლდებიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“.

ბ) 35 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 8-ის დადგენილებაში „სასამართლოს გადაწყვეტილებისა, დადგენილებისა და განაჩენის ძალით გადასახდევინებელი თანხების შემოსვლისათვის მეთვალყურეობის გაწევის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81):

1-ლ მუხლში სიტყვები „სასამართლო ბაჟი“ შეიცვალოს სიტყვებად: „ერთიანი სახელმწიფო ბაჟი“, ხოლო სიტყვები „საკანცელარიო გამოსაღები“ ამოიშალოს.

მე-2 მუხლში სიტყვები „და საღერბო გამოსაღების“ ამოიშალოს.

მე-3 მუხლში სიტყვები „სასამართლო ბაჟისა“ შეიცვალოს სიტყვებად: „ერთიანი სახელმწიფო ბაჟისა“, ხოლო სიტყვები “საკანცელარიო გამოსაღებისა“ ამოიშალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 21-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „საბაზრო კომიტეტების შესახებ" (კან. კრ. 1928 წ. 11 №-ი, მუხ. 107):

მე-7 მუხლის „ბ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თვალყური ადევნოს, რათა ბაზრის ტერიტორიაზე არ სწარმოებდეს ვაჭრობა ან რეწვა სათანადო სარეწაო დოკუმენტების (სარეგისტრაციო განცხადებების შემოწმებული ასლების) უქონლად და არ იყიდებოდეს უბანდეროლოდ აქციზდასადები საქონელი; აგრეთვე თვალყური ადევნოს იმ პირთ, რომელთაც გადასახადების შეუტანლობის გამო ვაჭრობა აკრძალული აქვთ;

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის თარიღისა და 88 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157):

ა) მე-8 მუხლის „ა" პუნქტში სიტყვები „აგრეთვე გადახდევინებული გამოსაღები და ბაჟი" შეიცვალოს სიტყვებად „აგრეთვე გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟი".

ბ) 22 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„22. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება მხოლოდ ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სანოტარო მოქმედება განთავისუფლებულია ამ ბაჟისაგან".

გ) 25 მუხლის მე-4 პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4) გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟი".

დ) 39 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ შენიშვნა 1. ერთიანი სახელმწიფო ბაჟის ნიშნები დაეკვრის აქტის ძირითად ეკზემპლიარს, ხოლო დანარჩენ ეკზემპლიარებზე აღინიშნება, რომ ამდენი და ამდენი ერთიანი სახელმწიფო ბაჟი გადახდილია".

ე) 39 მუხლის მე-2 შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

ვ) 62 მუხლში სიტყვები „საღერბო გამოსაღები" შეიცვალოს სიტყვებად „ერთიანი სახელმწიფო ბაჟი".

ზ) XXIV თავის სათაური მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ერთიანი სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები".

თ) 104 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„104. ერთიანი სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები და მისი გადახდევინების წესები გათვალისწინებულია ერთიანი სახელმწიფო ბაჟის დებულებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 480) და ამ დებულების შეფარდებისათვის გამოცემული სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით".

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 8-ის თარიღისა და 101 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11):

მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი, მისი ადგილობრივი განყოფილებანი და საწარმონი, უკეთუ ეს უკანასკნელნი თვით საქინდამხკომის მიერ არიან მოწყობილი და თვითვე ეწევა მათ ექსპლოატაციას, გარდა სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით მინიჭებული საგადასახადო შეღავათებისა, განთავისუფლდებიან აგრეთვე ყველა სხვა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 4-ის დადგენილებაში „სახელმწიფო სატეხნიკო გამომცემლობის ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და აგრეთვე სასამართლო ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 14):

სათაურიდან და ტექსტიდან ამოიშალოს სიტყვები „რესპუბლიკანური და“ და „და აგრეთვე სასამართლო ბაჟისაგან“.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 29-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზათა გაუმჯობესების ხელისშემწყობ საზოგადოების („ავტოგზა“) ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, აგრეთვე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 36):

გაუქმებულ იქნეს მე-2 მუხლი და სათაურიდან ამოიშალოს სიტყვები „აგრეთვე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოსაღებისაგან“.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 6-ის დადგენილებაში „საექსკურსიო-სატურისტო სააქციო საზოგადოება „ტურისტი“-ს ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, აგრეთვე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 213):

გაუქმებულ იქნეს მე-2 მუხლი და სათაურიდან ამოიშალოს სიტყვები „აგრეთვე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოსაღებისაგან“.

12. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 29-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში: „სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 304):

მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. ყრუ-მუნჯთა არტელი, კომუნა და ამხანაგობა და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის მიერ უშუალოდ ექსპლოატირებული წარმოებითი და სავაჭრო საწარმო, გარდა სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით მათთვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათებისა, განთავისუფლდებიან აგრეთვე ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან; აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლდება სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადისაგან სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის მიერ მოწყობილი გასართობი და სანახაობა, რომლის შემოსავალიც მთლად ამ ორგანიზაციის სახსარის გაძლიერებას უნდა მოხმარდეს".

13. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 21-ის დადგენილებაში „სასოფლო საბჭოების სანოტარო მოქმედების შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 64):

მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. შემოწმებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთიანი სახელმწიფო ბაჟი თანახმად ერთიანი სახელმწიფო ბაჟის დებულებისა (კან. კრ. 1920 წ. მე-46 №-ი, მუხ. 408) და ამ დებულების განსავითარებლად გაცემული განკარგულებებისა".

მე-4 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის, დადგენილებაში „წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 166):

მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 200):

მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიერ მოწყობილი უსინათლოთა არტელი, კომუნა და ამხანაგობა და იმავე საზოგადოების მიერ უშუალოდ ექსპლოატირებული წარმოებითი და სავაჭრო საწარმო, გარდა სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით მათთვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათებისა, განთავისუფლდებიან აგრეთვე ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან; აგრეთვე განთავისუფლდება სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადისაგან სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიერ მოწყობილი გასართობი და სანახაობა, რომლის შემოსავალიც მთლად ამ საზოგადოების სახსარის გაძლიერებას უნდა მოხმარდეს".

16. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილებაში „ტფილისის ღარიბთა დამხმარე საზოგადოების ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ" (კან. კრ. მე-16 №-ი, მუხ. 266):

პირველი აბზაციდან ამოიშალოს სიტყვები: „სასამართლო ბაჟი და" და მთლად მეორე აბზაცი.

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 24-ის დადგენილებაში „საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7):

„გ" პუნქტი გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დაზღვევა

181. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 დანართისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ივლისის 8-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი“ 1931 წ. №№-ი, 161 და 162) მე-5 დანართს („სას.-სამ. პირუტყვის გაწყდომისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ტარიფები“) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** დაზღვევის გადასახადის განაკვეთი მსხვილი რქოსანი საქონლისათვის, რაც კოლექტიურ მეურნეობათა სასაქონლო ფორმაშია, შემცირდება 30%-ით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივლისის 28.
ტფილისი.

„გამოქვეყნებულია გაზ.“ კომუნისტის 174 №-ში 1931 წ. ივლისის 30.

სამხარეთ-წყობილება და სამართლის წარმოება

182. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტისათვის „ფ“ ლიტერის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (კან. კრ. 1928 წ. 16 №-ი, მუხ. 157; 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 28; 22 №-ი, მუხ. 266; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 63; მე-9 მუხ. 86 და 87; მე-11 №-ი, მუხ. 155; 1931 წ. № 3, მუხ. 52) 46 მუხლის 1 პუნქტს დაემატოს ლიტერა „ფ„ შემდეგი შინაარსისა:

[46. გადამხდევინებლის განცხადებით სანოტარო კონტორა გაუკეთებს აღსრულების წარწერას: 1. ფულის გადასახდევინებლად:...]

„ფ) ვალდებულებას, რასაც გასცემს სამხედრო ნაწილიდან და დაწესებულებებიდან დათხოვნილი სამხედრო მსახური ან სამხედრო-ვალდებული მის მიერ ჩაუბარებელი სახელმწიფო ქონებისათვის“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
ტფილისი.

მთავლ. № 1498. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.100